შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 11/19

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“(ID 202235296)
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„07“ მაისი 2019 წ

ტექნიკური დასკვნა

ქ.თბილისი, ბუხაიძის ქ.N54-ში მდებარე ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ ბუხაიძის ქ.N47, ბუხაიძის ქ.N52 და კუმისის ქ. N36-ში განთავსებული სახცოვრებელი სახლების კონსტრუქციული მდგრადობის შესახებ

შპს „ბაზისი-XXI”-ის სპეციალისტების მიერ შესწავლილ იქნა ბუხაიძის ქ.N54-ში მდებარე არსებული ტერიტორია და მის მიმდებარედ განთავსებული სახლების კონსტრუქციული მდგრადობა.

ბუხაიძის ქ.N54-ში (ს.კ. 01.16.06.056.009) ტერიტორიაზე ამჟამად განთავსებულია ერთ სართულიანი საცხ. სახლი. ტერიტორიის მფლობელებს განსაზღრული აქვთ ააშენოს ოთხ სართულიანი საცხოვრებელი სახლი.

აგრეთვე ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ბუხაიძის ქ.N52-ში (ს.კ. 01.16.06.056.010) ერთ და ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლები, ბუხაიძის ქ.N47-ში (ს.კ. 01.16.06.056.002) ერთ სართულიანი საცხოვრებელი სახლის, კუმისის ქ. N38-ში (ს.კ. 01.16.06.056.014) განთავსებული N3 და N6 ერთ სართულიანი შენობები, კუმისის ქ.N36-ში (ს.კ. 01.16.06.056.011) ერთ სართულიანი საცხოვრებელი სახლის და საპროექტო შენობის სამხრეთ-დასავლეტით ბ’-ა’ ღერძების მომიჯნავედ განთავსებული ს.კ 01.16.06.056.018 შენობების კონსტრუქციული მდგრადობის საკითხები. სახლები წითელი აგურით და სამშენებლო ბლოკებითაა აშენებული. აგრეთვე აღნიშნული სახლები გალესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. შენობების კედლებს არც ვერტიკალური და არც ჰორიზონტალური ბზარები არ შეემჩნევათ. შენობები კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

კონსტრუქციული მუშა პროექტის მიხედვით ბუხაიძის ქ. N54-ში საპროექტო სახლის ფუძედ მიღებულია კენჭნაროვანი გრუნტი, რომლის საანგარიშო წინაღობა შეადგენს R_0=4,5 კგძ/სმ², საპროექტო სახლი რკინა ბეტონის კარკასული ტიპისაა. საძირკველი რკინა ბეტონის ლენტური. სახურავი-ბრტყელი გადახურვა, ქვიშა ცემენტის ხნსარით გალესილი

ჰიდროიზოლაციით. საპროექტო შენობის „1“ ღერძი 50-70 სმ-ით არის დაშორებული მომიჯნავედ (ს.კ. 01.16.06.056.10) არსებულ შენობას. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ უბანზე საძირკველში საბეტონო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ეტაპობრივად.

აგრეთვე საპროექტო შენობის ავტოფარეხში ჩასასვლელი პანტუსის კედელი 50 სმ არის დაშორებული მომიჯნავედ (ს.კ. 01.16.06.056.002) განთავსებული შენობიდან, ხოლო საკადასტრო კოდი (ს.კ. 01.16.06.056.014) მიწის ნაკვეთზე არსებული №3-№6 ერთ სართულიანი შენობები პანდუსიდან დაშორებულია 0,5-1,0 მეტრით. რაც შეეხება კუმისის ქ.N36-ში (ს.კ. 01.16.06.056.011) განთავსებული ერთსართულიანი სახლები 10-12 მეტრითაა დაშორებული საპროექტო შენობიდან, რაც შეეხება ერთ სართულინ შენობას რომლის ს.კ. (ს.კ.01.06.06.056.018) იგი მდებარეობს საპროექტო შენობის ბ'-ა' ღერძების მომიჯნავედ შენობიდან 0,5 მეტრის დაშორებით. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საპროექტო პანდუსის კედლის და საპროექტო შენობის საძირკველის საბეტონო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ეპატობრივად.

დასკვნა

შპს „ბაზისი-XXI”-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური დათვალიერებისას და საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ვადგენთ:

ბუხაიძის ქ.N54-ში (ს.კ. 01.16.06.056.009) ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა შესაძლებელია. მშენებლობის წარმოება მითითებულ უბნებში უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად და საქართველოს მთავრობის N41 დადგენილების N20 პუნქტის გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვადგენთ, რომ ბუხაიძის ქ. N54-ში სახცოვრებელი სახლის მშენებლობა უარყოფითად არ იმოქმედებს მის მიმდებარედ განთავსებული შენობების კონსტრუქციულ მდგრადობაზე.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
გენ. დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი: /ი.ცერცვაძე/